საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტრო
MINISTRY OF ENVIRONMENT PROTECTION AND AGRICULTURE OF GEORGIA

სსიპ გარემოს ეროვნული სააგენტო
LEPL NATIONAL ENVIRONMENTAL AGENCY

0112, საქართველო, თბილისი, დ. აღმაშენებლის გამზ. 150
150 D. Agmashenebeli ave. 0112, Tbilisi, Georgia

TEL: +995 32 2439503 FAX: +995 32 2439502
E-mail: info@nea.gov.ge Web: www.nea.gov.ge

N 21/1803
18/05/2022

1803-21-2-202205181705

ი/მ ნანა ცინცაძეს
მის: ქ. ქუთაისი, ზ. ჭავჭავაძის ქუჩა №12ბ
ელ. ფოსტა: tsinstadzenana@gmail.com

სსიპ გარემოს ეროვნულმა სააგენტომ განიხილა თქვენი №8974 სკრინინგის განცხადება, რომელიც ეხება წყალტუბოს მუნიციპალიტეტში, სოფ. ბანოჯაში სასარგებლო წიაღისეულის (ქვიშა-ხრეშის) გადამამუშავებელი საწარმოს ექსპლუატაციას.

გაცნობებთ, რომ სკრინინგის განცხადებაში დაზუსტებას საჭიროებს და წარმოდგენილი უნდა იყოს საქმიანობასთან დაკავშირებული შემდეგი საკითხები:

- სკრინინგის განცხადებაში წარმოდგენილი უნდა იქნეს საქმიანობის განხორციელების ადგილის GIS (გეოინფორმაციული სისტემები) კოორდინატები (Shp-ფაილთან ერთად);
- სკრინინგის განცხადება უნდა მოიცავდეს ინფორმაციას დაგეგმილი საქმიანობის განხორციელების ადგილისა და მისი თავსებადობის შესახებ ჭარბტენიან ტერიტორიებთან, ტყით დაფარულ ტერიტორიებთან, სადაც გაბატონებულია საქართველოს „წითელი ნუსხის“ სახეობები, ასევე, დაცულ ტერიტორიებთან და კულტურული მემკვიდრეობის ძეგლებთან;
- დოკუმენტის მიხედვით საწარმოში დასაქმებულია 5 ადამიანი. შესაბამისად, სამუშაო გრაფიკის გათვალისწინებით, დაზუსტებას საჭიროებს სამეურნეო დანიშნულებით წყალაღებისა და სამეურნეო-ფეკალური ჩამდინარე წყლების წარმოქმნისა და შემდგომი მართვის საკითხი;
- სკრინინგის განცხადებაში აღნიშნულია, რომ „საწარმოო მოედანზე ატმოსფერული ნალექების წყლები ჩაიჟონება გრუნტში“, შესაბამისად, დოკუმენტში დაზუსტებას საჭიროებს სანიაღვრე წყლების ხარისხობრივი მდგომარეობისა და შეწონილი ნაწილაკებით დაბინძურების საკითხი;
- დოკუმენტში დაზუსტებას საჭიროებს საწარმოს ფუნქციონირებისას სახიფათო ნარჩენების წარმოქმნის შესახებ ინფორმაცია.

ყოველივე ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, სააგენტო კანონმდებლობის შესაბამისად სკრინინგის გადაწყვეტილების გაცემის მიზნით ადმინისტრაციულ წარმოებას დაიწყებს მითითებული შენიშვნების გათვალისწინებით შესწორებული სკრინინგის განცხადების წარმოდგენის შემდეგ.

თეიმურაზ მთივლიშვილი

სააგენტოს უფროსის დროებით ფუნქციების შემსრულებელი

სსიპ გარემოს ეროვნული სააგენტო